# ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის კვლევა კახეთსა და აჭარაში



©საფარი/SAPARI

თბილისი
2023

# ეკონომიკური ძალადობა

ეკონომიკური ძალადობა არის **ფინანსურ რესურსებზე სრული კონტროლის შენარჩუნება,** ფულზე წვდომის შეზღუდვა, განათლებაზე ან შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, რომლის მიზანი ფინანსური დამოკიდებულობის გამოწვევა, ან მისი მცდელობაა. ეკონომიკური ძალადობა არის ნებისმიერი სახის ქმედება ან ქცევა, რომელიც **ეკონომიკურ ზიანს აყენებს ინდივიდს.**



# ეკონომიკური ძალადობის ფორმები

- მუშაობაში ხელის შეშლა;
- მსხვერპლისთვის ფულის არმიცემა და ფულის მოპოვებაში ხელის შეშლა;
- მსხვერპლისთვის მუშაობის ან სწავლის აკრძალვა;
- საკვების, ტანსაცმლის, თავშესაფრის, პირადი ჰიგიენის საშუალებების ან წამლის მიზანმიმართულად არმიცემა;
- მსხვერპლისთვის ფულის მოპარვა, მისი ფულის, აქტივების ან ფინანსური სახსრების თაღლითურად გამოყენება;
- მსხვერპლის მიერ ფულის ხარჯვის გამამართლებელი მიზეზების მოკითხვა
- მსხვერპლის პირადი საკუთრების მოპარვა ან განადგურება;
- მსხვერპლისათვის პირადი საბანკო ანგარიშის ფლობის აკრძალვა;
- სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის არგადახდა;
- მსხვერპლის იძულება, აიღოს კრედიტი, შემდეგ კი მისი საკრედიტო ისტორიის გაფუჭება.

# კვლევის მიზანი



კვლევის მიზანს წარმოადგენდა **რეგიონებში მცხოვრები ქალების გამოცდილების შესწავლა** პარტნიორის/ქმრის მხრიდან განხორციელებულ ეკონომიკურ ძალადობასთან მიმართებაში; იმ მდგომარეობის შესწავლა, რომელშიც იმყოფებიან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი ქალები, მიუხედავად იმისა, აიდენტიფიცირებენ ამას თუ არა.

# კვლევის ჰიპოთეზები

- ქალები ინტიმურ ურთიერთობაში ხდებიან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები ქმრების/პარტნიორების მხრიდან;
- ეკონომიკური ძალადობა განგრძობადია, როგორც წესი, აქვს სისტემატური ხასიათი და განქორწინების ან წყვილის განცალკევების შემდეგაც გრძელდება;
- ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლებს განუცდიათ ეკონომიკური ძალადობა ოჯახის სხვა წევრის მხრიდანაც;
- ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლებს, როგორც წესი, განუცდიათ სხვა ტიპის ძალადობა პარტნიორის ან/და ოჯახის სხვა წევრის მხრიდან;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას;
- რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას;
- ქალები, რომლებიც პარტნიორზე მეტს გამოიმუშავებენ, უფრო ხშირად ხდებიან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები;
- ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი ქალები ეკონომიკურ ძალადობას ნაწილობრივ აიდენტიფიცირებენ.

# მეთოდოლოგია

**კვლევის პერიოდი**

იანვარი, 2023

**კვლევის არეალი**

აჭარა, კახეთი

**კვლევის მეთოდი**

რაოდენობრივი კვლევა

**კვლევის ტექნიკა**

პირისპირ ინტერვიუ

**საკვლევი ჯგუფი**

16-45 წლის ქალები, ერთხელ მაინც ყოფილან ინტიმურ ურთიერთობაში

**შერჩევის ზომა**

**1 516** ინტერვიუ

**შერჩევის მეთოდი**

კლასტერული შერჩევა

**ინტერვიუს ხანგრძლივობა**

20-25 წუთი

# კვლევის ინსტრუმენტი



- კითხვარს საფუძვლად დაედო ზაგრების უნივერსიტეტის მკვლევრის, კსენიჯა კლასნიჩის (Ksenija Klasnić) ნაშრომი: „ინტიმურ ურთიერთობებში ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის აღიარებისა და გამოცდილების საზომი ინდიკატორების შემუშავება და შეფასება“.
- ეკონომიკური ძალადობის ამოცნობის სკალა - 11 დებულება
- ეკონომიკური ძალადობის გამოცდილების შეფასების სკალა - 36 დებულება

# ქალების ყველაზე დიდი რაოდენობა ნაკლებად ხედავს ეკონომიკურ ძალადობას, თუ ძალადობის ეს ფორმა გამყარებულია ქვეყანაში გავრცელებული სტერეოტიპებით

## ქვემოთ მოცემული დებულება მიგაჩნიათ თუ არა ეკონომიკურ ძალადობად?

ქმარი/პარტნიორი დამოუკიდებლად იღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს ოჯახში ისე, რომ არ უთანხმებს არავის




ქმარი/პარტნიორი უარს ამბობს ბავშვის მოვლაში დახმარებაზე



## სამიზნე რეგიონებში ყოველი მეხუთე ქალი ვერ აიდენტიფიცირებს ეკონომიკური ძალადობის ისეთ ფორმებს, რომლებიც ქალის ფინანსურ დამოუკიდებლობას უკავშირდება

### ქვემოთ მოცემული დებულება მიგაჩნიათ თუ არა ეკონომიკურ ძალადობად?

| დებულება | არა | დიახ |
|---|---|---|
| ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს დასაქმებაში | 18.4% | 81.6% |
| ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს განათლების მიღებაში | 19.4% | 80.6% |
| ცოლი/პარტნიორი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ სრულიად არის ფინანსურად დამოკიდებული ქმარზე/პარტნიორზე | 18.9% | 81.1% |

## კვლევის ფარგლებში განსაზღვრული ეკონომიკური ძალადობრივი ქცევებიდან ქალები საშუალოდ 11-დან 8 ქცევას ამოიცნობენ

### ქვემოთ მოცემული დებულება მიგაჩნიათ თუ არა ეკონომიკურ ძალადობად?




მეუღლე/პარტნიორს აქვს სრული კონტროლი ცოლის/პარტნიორის შემოსავალზე




მეუღლე/პარტნიორი აიძულებს ცოლს/პარტნიორს სრულად დაფაროს მთელი ოჯახის ხარჯები (საკვები, ნივთები)




ყოფილი მეუღლე/პარტნიორი უარს ამბობს ალიმენტის გადახდაზე

მეუღლე/პარტნიორი განზრახ აზიანებს/ანადგურებს ცოლის/პარტნიორის პირად ნივთებს




მეუღლე/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნორს დახარჯოს საკუთარი ფული




მეუღლე/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნორს საკუთარი ქონების განკარგვაში



# განათლების დონე, აღმსარებლობა, საცხოვრებელი ადგილი გავლენას ახდენს ეკონომიკური ძალადობის ამოცნობაზე

| | არ მიიჩნევს არც ერთ პუნქტს ეკ. ძალადობად |
|---|---|
| **განათლება** | |
| არასრული საშუალო | 15% |
| სრული საშუალო | 7% |
| პროფესიულ ტექნიკური | 5% |
| სრული უმაღლესი განათლება | 4% |
| **აღმსარებლობა** | |
| მართლმადიდებლური ეკლესია | 5% |
| ისლამი | 10% |
| **სტატუსი** | |
| ეთნიკური უმცირესობა | 23% |
| **სამუშაო სტატუსი** | |
| დასაქმებული | 5% |
| უმუშევარი | 7% |
| **საცხოვრებელი ადგილი** | |
| ქალაქი | 2% |
| სოფელი | 9% |

# ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში ყოველი მეორე ქალი ვერ ახდენს ეკონომიკური ძალადობის იდენტიფიცირებას

| არ მიიჩნევს ეკონომიკურ ძალადობად | ეთნ. უმცირესობა | საერთო სურათი |
|---|---|---|
| მეუღლე/პარტნიორს აქვს სრული კონტროლი ცოლის/პარტნიორის შემოსავალზე | 68% | 18% |
| მეუღლე/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს საკუთარი ქონების განკარგვაში | 67% | 17% |
| მეუღლე/პარტნიორი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ სრულიად არის ფინანსურად დამოკიდებული ქმარზე/პარტნიორზე | 66% | 19% |
| მეუღლე/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს, დახარჯოს საკუთარი ფული | 63% | 16% |
| მეუღლე/პარტნიორი დამოუკიდებლად იღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს ოჯახში ისე, რომ არ უთანხმებს არავის | 63% | 40% |
| მეუღლე/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს განათლების მიღებაში | 57% | 19% |
| მეუღლე/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს დასაქმებაში | 54% | 18% |
| მეუღლე/პარტნიორი აიძულებს ცოლს/პარტნიორს, სრულად დაფაროს მთელი ოჯახის ხარჯები (საკვები, ნივთები) | 53% | 12% |
| მეუღლე/პარტნიორი უარს ამბობს ბავშვის მოვლაში დახმარებაზე | 50% | 27% |
| ყოფილი მეუღლე/პარტნიორი უარს ამბობს ალიმენტის გადახდაზე | 45% | 10% |
| მეუღლე/პარტნიორი განზრახ აზიანებს/ანადგურებს ცოლის/პარტნიორის პირად ნივთებს, ქონებას | 40% | 11% |

# აჭარის რეგიონში მცხოვრები ქალები უკეთ აიდენტიფიცირებენ ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, ვიდრე - კახეთში მცხოვრები ქალები

| არ მიიჩნევს ეკონომიკურ ძალადობად | კახეთი | აჭარა |
| --- | --- | --- |
| ქმარი/პარტნიორი დამოუკიდებლად იღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს ოჯახში ისე, რომ არ უთანხმებს არავის | 47% | 32% |
| ქმარი/პარტნიორი უარს ამბობს ბავშვის მოვლაში დახმარებაზე | 36% | 17% |
| ყოფილი ქმარი/პარტნიორი უარს ამბობს ალიმენტის გადახდაზე | 14% | 6% |
| ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს განათლების მიღებაში | 27% | 12% |
| ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს დასაქმებაში | 26% | 10% |
| ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს საკუთარი ქონების განკარგვაში | 25% | 9% |
| ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს, დახარჯოს საკუთარი ფული | 24% | 7% |
| ქმარს/პარტნიორს აქვს სრული კონტროლი ცოლის/პარტნიორის შემოსავალზე | 26% | 10% |
| ქმარი/პარტნიორი აიძულებს ცოლს/პარტნიორს, სრულად დაფაროს მთელი ოჯახის ხარჯები (საკვები, ნივთები) | 20% | 5% |
| ცოლი/პარტნიორი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ სრულად არის ფინანსურად დამოკიდებული ქმარზე/პარტნიორზე | 27% | 11% |
| ქმარი/პარტნიორი განზრახ აზიანებს/ანადგურებს ცოლის/პარტნიორის პირად ნივთებს, ქონებას | 21% | 5% |

# გამოკითხული შინამეურნეობების 46%-ში მხოლოდ ქმარს/პარტნიორს აქვს ყოველთვიური შემოსავალი

### ქალის ყოველთვიური შემოსავალი ქმრის/პარტნიორის შემოსავალთან შედარებით (%)




### 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით, საქსტატი (%)



# შინამეურნეობებში საშ. ყოველი მეხუთე ქალი არ მონაწილეობს ოჯახში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში კი ყოველი მეორე ქალი

## ოჯახში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი




## ქალის შემოსავალი ქმრის/პარტნიორის შემოსავალთან შედარებით



# ეკ. ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია: ფულის ხარჯვის კონტროლი და ფინანსური ინფორმაციის დამალვა

- ისე იქცეოდა, რომ ვმალავდი ჩემს რეალურ შემოსავალს — 5%
- ისეთ სიტუაციაში ვიყავი, რომ ვმალავდი, რამეს თუ ვიყიდდი — 7%
- არ ვეუბნებოდი, თუ ვინმე მჩუქნიდა ფულს — 8%

- ჩამაყენა ისეთ მდგომარეობაში, რომ არ მქონდა ფული აუცილებელი ნივთების საყიდლად — 8%
- ფაქტიურად მახვეწნინებდა, რომ ფული მოეცა — 6%
- მიშლიდა ჩემი ან საერთო ფულის ხარჯვას — 5%

- ისე გააკეთა, რომ ფინანსურად მთლიანად მასზე ვარ/ვიყავი დამოკიდებული — 6%
- ხელი შემიშალა სწავლაში, პროფესიულ განვითარებასა და ზრდაში — 5%

- სხვა დანიშნულებით ხარჯავდა საოჯახო ხარჯებისთვის განკუთვნილ თანხას — 6%
- საერთო ფული ან ჩემი ფული დააბანდა/დახარჯა ჩემთან შეუთანხმებლად — 7%

# გამოკითხული ქალების 14%-ს ეკონომიკური ძალადობის სულ ცოტა ერთი ფორმა მაინც გამოუცდია

## მეუღლეს ან პარტნიორს:

| | კახეთი | აჭარა |
|---|---|---|
| იმდენად ცოტა ფული მოუცია, რომ შეუძლებელია მყოფნოდა პირადი აჭიროებისთვის | 13% | 4% |
| ჩემგან დაუკითხავად აუღია ჩემი ფული/საერთო ფული | 21% | 8% |
| შეუქმნია ისეთი სიტუაცია, რომ იძულებული ვიყავი არ მეთქვა რა გადავიხადე რეალურად | 13% | 4% |
| არ მოსწონდა ფულს როგორ ვხარჯავდი | 14% | 4% |

## ეკ. ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოცდილება:

| | კახეთი | აჭარა |
|---|---|---|
| ისეთ სიტუაციაში ვიყავი, რომ ვმალავდი, რამეს თუ ვიყიდდი | 9% | 4% |
| არ ვეუბნებოდი, თუ ვინმე მჩუქნიდა ფულს | 10% | 5% |

კახეთი აჭარა

ქალების საშ. 9% ამბობს, რომ ქმარი/პარტნიორი იმდენად მცირე თანხას აძლევდა პირადი საჭიროებისთვის, შეუძლებელია საკმარისი ყოფილიყო

**51%** ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფება

**56%** სოფელში ცხოვრობს

**61%** უმუშევარია

**88%** არ აქვს უმაღლესი განათლება

## ეკონომიკური ძალადობის შემთხვევები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებში ორჯერ უფრო ხშირია

| | ეთნ. უმცირესობა | საერთო სურათი |
|---|---|---|
| ჩემგან დაუკითხავად აიღო ჩემი ფული/საერთო ფული | 30% | 14% |
| ჩამაყენა ისეთ მდგომარეობაში, რომ არ მქონდა ფული აუცილებელი ნივთების საყიდლად (საკვები, საყოფაცხოვრებო ნივთები, ტანსაცმელი და ა.შ.) | 21% | 8% |
| არ მოსწონდა, ფულს როგორ ვხარჯავდი | 20% | 9% |
| ხელი შემიშალა, მიმეღო ინფორმაცია ჩვენი საერთო ფინანსური ანგარიშების შესახებ | 18% | 6% |
| არ მაძლევდა ინფორმაციას ოჯახის საერთო ანგარიშზე არსებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ (მაგ: რამდენი ფული გვაქვს დარჩენილი ანგარიშზე თვის ბოლომდე და ა.შ ) | 17% | 7% |
| იმდენად ცოტა ფულს მაძლევდა, რომ შეუძლებელია მყოფნოდა პირადი საჭიროებისთვის (ჯიბის ფულად) | 15% | 8% |
| ფაქტიურად მახვეწნინებდა, რომ ფული მოეცა | 14% | 6% |
| არ მომცა თანხა საჭმლისთვის ან სხვა ოჯახური ხარჯებისთვის | 11% | 4% |
| ხელი შემიშალა სწავლაში, პროფესიულ განვითარებასა და ზრდაში | 11% | 4% |
| ისეთ სიტუაციაში ვიყავი, რომ ვმალავდი, რამეს თუ ვიყიდიდი | 11% | 7% |
| მიშლიდა ჩემი ან საერთო ფულის ხარჯვას | 9% | 5% |
| ისეთ სიტუაციას ქმნიდა, რომ იძულებული ვიყავი, არ მეთქვა რა გადავიხადე რეალურად ნივთის შესაძენად | 8% | 8% |
| არ ვეუბნებოდი, თუ ვინმე მჩუქნიდა ფულს | 8% | 7% |
| საერთო ფული ან ჩემი ფული დააბანდა/დახარჯა ჩემთან შეუთანხმებლად | 8% | 7% |
| განზრახ გაანადგურა/დააზიანა ჩემი პირადი ნივთები ან ქონება | 7% | 3% |
| ამიკრძალა ექიმთან მისვლა | 6% | 1% |
| ისეთი სიტუცია იყო, რომ ვინმე თუ საჩუქარს მაჩუქებდა, არ ვამბობდი | 6% | 4% |

## არააზერბაიჯანულენოვან რელიგიურ უმცირესობებში ეკ. ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია სამუშაო პროცესში ხელშეშლა, მუშაობის აკრძალვა

### გქონიათ ასეთი შემთხვევები თქვენი ბოლო/ამჟამინდელი პარტნიორის /მეუღლის მხრიდან?

| | დიახ | არა |
|---|---|---|
| ხელს მიშლიდა, წავსულიყავი მივლინებაში, ტრენინგზე ღამის თევით | 9% | 91% |
| ხელს მიშლიდა თანამშრომლებთან ურთიერთობაში | 10% | 90% |
| მთხოვდა, მიმეცა ჩემი ხელფასი (სრულად ან ნაწილობრივ) | 19% | 81% |

## დასაქმებულ ქალებში ეკონომიკური ძალადობის ყველაზე ხშირად განხორციელებული ფორმაა ქალისთვის საკუთარი ხელფასის წართმევა, სამსახურში წასვლის აკრძალვა და სამუშაო პროცესში ხელის შეშლა

### ეკ. ძალადობის ფორმა, რომელიც გამოუცდიათ გამოკითხულ დასაქმებულ ქალებს




### ეკ. ძალადობის ფორმა, რომელიც გამოუცდიათ გამოკითხულ დასაქმებულ ქალებს




კახეთი   აჭარა



# განქორწინების/ ურთიერთობის დასრულების პროცესში თითქმის ყოველი მეორე ქალი ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლია



## ეკ. ძალადობის ფორმა, რომელიც გამოუცდიათ ქალებს

| | არა | დიახ |
|---|---|---|
| მაიძულა დამეტოვებინა საერთო ბინა/სახლი, ისე, რომ არ ამინაზღაურა ის ფული, რაც პირადად მე დავახარჯე ამ ბინას/სახლს | 67% | 33% |
| ხელი შემიშალა მესარგებლა ჩემი საკუთარი ან საერთო ქონებით (მაგ. მანქანა, აგარაკი და ა.შ.) | 67% | 33% |
| შემიზღუდა წვდომა ჩემს პირად ნივთებზე და ქონებაზე | 61% | 39% |
| მაშანტაჟებდა ფინანსურად, მატერიალურად (რომ დამეტოვებინა ქონების გარეშე, ვალებით და ა.შ.) | 50% | 50% |

## ყოფილი ქმრის/პარტნიორის მხრიდან განხორციელებული ეკ. ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები (%)

| | არა | დიახ |
|---|---|---|
| უარი თქვა ალიმენტის გადახდაზე | 16% | 84% |
| უარი თქვა ბავშვის მოვლაში დახმარებაზე. | 9% | 91% |

# ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები ოჯახის სხვა წევრის/წევრების მხრიდანაც განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას. მათ შორის, ყველაზე დიდი წილი, უმეტეს შემთხვევებში, მოდის ქმრის/პარტნიორის მშობლებზე

### ეკ. ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები ოჯახის წევრების მხრიდან




### ოჯახის წევრების მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფორმები




### ხელი შემიშალეს სწავლაში, პროფესიულ განვითარებასა და ზრდაში




### განხორციელებული ეკონომიკური ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან (ზოგადი სურათი)




### ოჯახის წევრების მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფორმები



# ეკ. ძალადობის მსხვერპლ ქალებს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ასევე გამოუცდიათ ფსიქოლოგიური ძალადობა, ძალადობის შიში, მუქარა

## სხვა სახის ძალადობა პარტნიორის მხრიდან

| | | |
|---|---|---|
| ოდესმე ხელით შეგხებიათ თუ არა თქვენი ქმარი/პარტნიორი? | 7% დიახ | 93% არა |
| ოდესმე შეგშინებიათ თუ არა თქვენი პარტნიორის/ქმრის? | 13% დიახ | 87% არა |
| შეურაცხყოფა მოგაყენათ ან მოიქცა ისე, რომ საკუთარ თავზე ცუდი წარმოდგენა შეგექმნათ | 9.5% დიახ | 90.5% არა |
| გითხრათ ან მოგექცათ ისე, რომ თქვენ დამცირებულად იგრძენით თავი გარშემომყოფთა წინაშე | 10.4% დიახ | 89.6% არა |

## ქალების 44% ერთხელ მაინც ყოფილა ბავშვობაში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი მშობლების მხრიდან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში კი ყოველი მეორე ქალი

### ოდესმე/ბავშვობაში ხელით შეგხებიან თუ არა თქვენი მშობლები?

ზოგადი სურათი




ეთნ. უმცირესობა



# ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში:
# ქალების 38%-ს ჰქონია ქმრის/პარტნიორის შიში
# ქალების 24% გამხდარა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ქმრის/პარტნიორი მხრიდან

ოდესმე შეგშინებიათ თუ არა თქვენი ქმრის/პარტნიორის?




ოდესმე ხელით შეგხებიათ თუ არა თქვენი ქმარი/პარტნიორი? (მაგ. ხელის ან ფეხის კვრა, დარტყმა)



# შეჯამება - ძირითადი მიგნებები

**1.** ქალების 25% ერთხელ მაინც ყოფილა ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი ინტიმური პარტნიორის/ქმრის მხრიდან.

**2.** ეკონომიკურ ძალადობას უმეტეს შემთხვევებში აქვს სისტემატური ხასიათი. ქალების 40%-45%, რომლებიც დაშორების, განქორწინების შემდგომ გახდნენ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი, ქორწინებაშიც განიცდიდნენ ეკონომიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს. ის ქალები, რომლებიც განქორწინებულები/დაშორებულები არიან, უფრო ხშირად ყოფილან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი.

**3.** პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის განხორციელებასა და ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ეკონომიკური ძალადობის განხორციელებას შორის საშუალო სიძლიერის კორელაციური კავშირია. უმეტეს შემთხვევებში ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმებში ყველაზე დიდი წილი ოჯახის სხვა წევრებთან შედარებით მოდის ქმრის/პარტნიორის მშობლებზე.

**4.** ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლებს ასევე განუცდიათ სხვა ტიპის ძალადობა პარტნიორისგან/ოჯახის სხვა წევრებისგან. ქალები, რომლებიც ყოფილან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები, ინტიმური პარტნიორის მხრიდან განიცდიდნენ ასევე ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, ბავშვობაში კი ფიზიკურ ძალადობას მშობლების მხრიდან.

**5.** ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი რესპონდენტები უფრო მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას სხვა ქალებთან შედარებით, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ ჯგუფს.

**6.** რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები უფრო მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას.

**7.** ქალები, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ჰქონდეთ სტაბილური სამსახური და პარტნიორზე მაღალი შემოსავალი, მაინც ხდებიან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები.

**8.** ყოველი მეხუთე ქალი ვერ აიდენტიფიცირებს ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმებს.